საქართველო

მიიღება განცხადებები
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 5—73.

წელიწადი მეექვსე
პარასკევი. მარტი 12 1920 წ. № 55
ფასი 5 მან.

გაზეთ „საქართველო“-ს გასასყიდად
ქუჩებში გვესაჭიროება მოზრდილი
ბავშვები
იკითხეთ გაზეთ „საქართველოს“ კონტორაში.

კალოუბნის ეკლესიაში შაბათს 13 მარტს დილის 11 საათზე გადახდილ იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი ყოფილ ოფიცერისა მე 4 ქართული პოლკისა

პეტრე სოლომონის ძის ჯავროვისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, ნაცნობებს და განსვენებულის ამხანაგთ დიდა მატრადიარა იოსების ასულისა და ძმა გიორგი სოლომონის ძე ჯავროვები და რძალი მ. მ ჯავროვისა. 2953 1-1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილები ბებია ელისაბედ სტ. ასული კნ. ვაჩნაძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის როტმისტრის

გიორგი დავითის ძის ფორაქაშვილის

გარდახდილი იქნება წლის წირვა კვირას 14 მარტს ავლაბარში წმ. მარინეს ეკლესიაში წირვის დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 2954 1—1

ანტონ სტეფანეს ძე გელაზარაშვილი შვილებით შალვა და ეთერი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის მეუღლისა მეორეთა დედისა

თამარის პეტრეს ასული გელაზარაშვილისა

ამა 11 მარტს. პანაშვიდები საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება შაბათს 13 მარტს დილის 10 საათზე სოლოლაკის სასაფლაოზე წირვის შემდეგ კათოლიკების მიძინების ეკლესიაში. კათოლიკების ქუჩა № 13. 2956 1—1

სახელმწიფო თეატრი
ევლახიშვილის ხელმძღვანელობით
დღეს მარტის 12-ს
ნინა კოშიცის მე 5 ე გასტროლი
ევგენი ონეგინ

კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი
„სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთს რედაქტორობს ნიკო კაიშაური.
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. 4 3 13

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი
(ცენტრობანკი)
ძირითადი თანხა 30.000.000 მან.

1920 წლის 21 მარტს (კვირას), დილის 12 საათზე, ცენტრობანკის ბინაზე (პუშკინის ქუჩა № 3) დანიშნულია ხსენებულ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება შემდეგი საკითხების განსახილველად:
1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება ბანკის მოწყობის შესახებ.
2. 1920 წლის ხარჯ-აღრიცხვა.
3. ბანკის გამგეობისა, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა და
4. საკითხები.

შენიშვნა: თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე. 44 3—2

!!! საგაზაფხულო სეზონის ნობათი !!!
კინემო მინიონი
ა. ზრიზეს გამოცემულ პიესით „განწირული“
მარტის
11, 12 და 13-ს
ასეთია ცხოვრება...
კინო-დრამა შექმნილი ზამთარში „ძმ. პატე“-ს ატელიეში პარიზში. მთავარ როლში პარიზის თეატრის მსახიობი ქალი და პეტროგრადის მიხეილის თეატრის მსახიობის
M-me მ ქენიას მონაწილეობით
დასასრული: გულჩვილი ლიუსიენი

სახალხო სახლი (ზუბალ.)
საქ ცენტ. კოოპერატივთა კ—რი.
დღეს მარტის 12-ს
ქართული სამუსიკო საზოგადოება.
მართავს
გარნიზონისათვის
კონცერტს.
დასაწყისი ნახ. 8 საათზე 46 1—1

დუშეთის მაზრის ერობა საჭიროებს
ორ რაიონის აგრონომს და სამ ინსტრუქტორს,

მეღვინე-მევენახეობისას, მეხილ მებაღე-მებოსტნეობისა და მესამე მესაქონლე-მეურნეობისას

აგრონომებს ჯამაგირი 5500 და საგზაო 1500 მან.
ინსტრუქტორებს 4500 მან. და საგზაო 1000 მან.

თხოვნები უნდა გაიგზავნოს ქალ. დუშეთში დუშეთის ერობის გამგეობაში. საჭიროა დაწვრილებით აწერა მათი მომზადების და განათლების სამეურნეო დარგში მიღების შესახებ.

სავაჭრო **ძმური საქმე** სახლი
სასახლის ქუჩა № 4 ტელ. 19—09.

აცხადებს მყიდველთა საყურადღებოთ, რომ მას აქვს მიღებული დიდძალი ჩეშუჩა ყოველგვარი ფართლეულის, სტოლსაფრები, ზეწრები, ძაფები, ემალის ჭურჭლეულობა, ბოქლომები, ჯიბის დანები, სამართებლები, ქლიბები ყველა ზომის და ყოველგვარი მანქანების სარტყლები, ფეხსაცმლები ქალის და კაცის, ფეხსაცმლის ლაქები, შეკერილი ქალების კაბები და კოსტიუმები და ბევრი სხვა და სხვა საქონელი. ყველა საქონლები ინგლისური ნაწარმოებია, გაყიდვა მხოლოდ პარტიობითაა. ფასები კონკურენციის გარეშეა.

კონტორა გაღებულია დილის 10 3 საათამდის და საღამოს 6—9 საათამდის

სავაჭრო სახლი „ძმური საქმის“ გამგეობა
45—5—1

ქირავდება
მაღაზიის ერთი თვალი
ოლღას ქუჩაზე № 28, კოოპერატივ „დახმარების“ გვერდით.
პირობების გაგება შეიძლება გვერდზედ კოოპერატივის მაღაზიაში.



პირველ-ხარისხოვანი
ცირკი „კრისტენს“
ვერის დაღმართზე. ტელ 5 62.
პარასკევს მარტის 12 ს 1920 წ.
შესდგება გრანდიოზული ბენეფისი თიურქის ცნობილ ფალავნის, სპარსეთის ფალავნის ჰენჯა ალის.
დღეს: 2 გასტროლი აკრობატ ბავშვების კლაი-კლაის. თავის ბენეფისის დღეს ჰენჯა-ალი აჩვენებს პატივცემულ საზოგადოებას კოლოსალურ ძალას. ჰენჯა-ალი 2 ფუთიან გირებს აიწევს. ჰენჯა-ალი ცოცხალ ადამიანებზე დაიჭერს ვარჯიშს. ჰენჯა-ალი აჩვენებს საზოგადოებას, თუ რამდენად მისი თავის ქალა მაგარია. ის თავზე დაიმტვრევს აგურებს. ჰენჯა-ალი ამ საღამოს მუშტით ვერშოკიან ფიცარში რკინის ლურსმანს ჩასჭედს. დღეს ჰენჯა-ალი დაეჭიდება მსოფლიო რეკორდსმენს როგენბაუმს. არბიტრი კვიატკოვსკი.
1) ჰენჯა ალი—როგენბაუმი, 2) ჩიუვოლოვი—ზაგორუიკო, 3) ჯოგანი—ჟან დე კოლონი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

მედიცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი, დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. შესავალი ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.

ამხ.-ბა „დრუჟბა“
პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილის) № 88
კირკას გვერდით.
დოროჟნოვის ყოფილ ფირმის მოსამსახურეებისგან დაფუძნებული.

მიღებულია დიდი პარტია
ნამდვილ ინგლისური შევიოტისა.
ქალებისა და ვაჟების კოსტიუმებისთვის
ამასთანავე ყოველგვარი ქსოვილები თეთრეულისთვის, ქალებისა და მამაკაცებისთვის.
ჩულქები, წინდები, საპნები, ხელსაწმენდები, ცხვირსახოცები, როგოჟკა, პარუსინა- ბრეზენტი და მრ. სხ.
მაღაზია ღიაა 9—2 ს. და საღ 4—7 ს. შაბათობით დილის 9—2 ს.
2955—2—1

ამ დღეებში გაიხსნება რესტორანი
„არწივი“
(ერევნის მოედანი, თამამშევის პასაჟი)
კაბარე
„მხიარული არლეკინი“
მოწვეულნი არიან საუკეთესო არტისტები: როსტოვიდან, ეკატერინოდარიდან და ოდესიდან. ტრუპას ხელმძღვანელობს კავკასიაში ცნობილი ადმინისტრატ.
ფ. ს. ალექსანდროვი.
დაწვრილებით იქნება გამოცხადებული აფიშებში.
კონფერანსიე ? დირიჟორია ბაქოს ამხანაგობისა. 2952 3—2



ქიმერიონი
(რუსთაველის პრ., 21,)
ყოველ დღე დილის 1—5 საათამდე.
სადილი
პარასკევს, მარტის 12
ახალი პროგრამით
1) პოლ ციურ შაანში
2) ფაიფურის კურანტები
3) დედაბრები
4) დენდის სიმღერები
შესრ. სანდრო კორონა და სხ.
პარასკევს და შაბათს მხოლოდ ორი გასტროლი თ. მაჩაბლის ბოშურ სიმღერებისა.
შაბათს 13 მარტს **დიდი საღამო**
ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახსრების გასაძლიერებლად
მაგიდებზე ჩაწერა შეიძლება.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12 1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

დამფუძნებელ კრების წლის თავზე

დღეს შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც პირველად შეიკრიბა დამფუძნებელი კრება. უკანასკნელ საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს უდიდესი მნიშვნელობის აქტია.

მართალია დამფუძნებელ კრებას, წინ უძღოდა დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეროვნული კრება და ბევრი სხვა ისეთი მნიშვნელობის ფაქტები, რომლითაც მდიდარი იყო რევოლიუციის შედეგები საქართველოში, მაგრამ დამფუძნებელი კრება გვირგვინი იყო ყველა წინადაწყებათა.

ერთი წლის შემდეგ, ჩვენ შემთხვევა გვეძლევა დავაფასოთ მისი მუშაობა და ობიექტიური დასკვნა გავუკეთოთ.

მართველი მენშევიკების პარტია და მისი ოფიციალური ლაურეატები არ დაიგვიანებენ და ყალბი პათოსით მოჰყვებიან თავის ქებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომ მათ სიტყვებს მეტი

დღეს:

დღეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წლის თავის დღესასწაულია.

ბოლშევიკებმა ქ. ეისკო აიღეს.

რუსეთსა უკრაინისა და პოლონეთს შორის საზავო მოლაპარაკება გაიმართა.

წერილები:

მეთაური—დამფუძნებელ კრების წლის თავზე.
მინებებული კუთხე.
პარტიული მუშაობისთვის.
— გორის მიწის ძვრის გარშემო.
კორესპონდენცია—საინგილოდან.

ძალა მიეცეთ და კომიკურ შთაბეჭდილებას ასცილდენ.

ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ რუსეთის რევოლიუციის მეორე წლის თავზე დაიწყო თავისი მოქმედება: ამ დროს რევოლიუცია ჩვენში გათავებული იყო კიდეც: რევოლიუცია თავისთვის გამოიყენეს მენშევიკებმა და თავიანთი სულიშთაბერეს რევოლიუციის მონაპოვართ.

რევოლიუციის მოპოვება იმაში გამოიხატება, რომ სოციალდემოკრატებმა ხელში ჩაიგდეს საქართველოში ძალა უფლება და ყველა საშუალებას ხმარობდენ მის შესანარჩუნებლად.

მათ წინ გაიარა ოსმალეთის შემოსევის ეპოპეამ, ბოლშევიკურ აჯანყებებმა, კოალიციათა ბრძოლამ წინა აზიაში.

ყოველი დღე უმზადებდა მენშევიკებს კატასტროფას, მაგრამ ზღაპრულ ნაცარქექიასავით ისინი თავს აღწევდენ ხიფათს.

უნდა ითქვას კი, რომ მენშევიკურმა ორტოდოქსალურმა მარქსიზმა ამასობაში ათჯერ მაინც იცვალა კანი.

ყოველ დღე იყო კომპრომისების და პოზიციების დატოვება.

ქართველ ხალხში გასაოცარი სიძლიერით იფეთქა პატრიოტიზმმა. მენშევიკებისთვის ეს ყველაზე უფრო მოულოდნელი იყო, მაგრამ ამათ საჭირო დასკვნა გაუკეთეს ამ ფაქტს და არ მოერიდენ მის ექსპლოატაციას.

აქედან იწყება მათი ეროვნული სახელმწიფოს შენება, როცა ცალი ხელით თითქო აშენებდენ სახელმწიფოს, მეორე ხელით ანადგურებდენ ყველა სახელმწიფოს ტრადიციებს.

ყველასათვის გასაგები იყო, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მენშევიკები გაიმარჯვებდენ. მათ ხელში იყო რუსეთიდან დარჩენილი ყველა მატერიალური რესურსები, მათ ხელში იყო გაწვრთნილი ადმინისტრაცია და აუთაცხველი კლიენტთა „თითების“ „ხიშტებით“.

მენშევიკები თვითონ არ მოელოდენ, რომ ამდენ დეპუტატს გაიყვანდენ დამფუძნებელ კრებაში, მათ თვითონ შეეშინდათ ამ რუხი მასსის.

ყველა მენშევიკი, რომელსაც რამე სტაჟი ჰქონდა დეპუტატობის, ან და წერა-კითხვა მაინც იცოდა, შევიდენ ან მთავრობაში ან დელეგაციებში, ასე რომ პარტიაში დარჩენ მხოლოთ სოფლის პროპაგანდისტები.

ამიტომ შეუძლებელია მათ რამე ისეთი მოეთხოვოს, რასაც ნიჭის ან ცოდნის დაღი ესვას.

ოპოზიცია თავისთავათ ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა უფრო გამწვავდა, როცა მენშევიკების ოპოზიცია იმავე დროს საქართველოს ოპოზიციაც შეიქნა, რადგან მენშევიკები ფარავდენ საქართველოს.

ძნელი იყო ყველაფრის წერა და ლაპარაკი, რადგან ამით სახელი ეძრახებოდა თვით რესპუბლიკას. სოციალ-დემოკრატებმა ეს შემთხვევაც კარგათ გამოიყენეს.

სამაგიეროთ, თუ მოხდებოდა, რამე ისეთი, რაც საქართველოსთვის სასიკეთო იყო, თუნდა მაგალითად დამოუკიდებლობის ცნობა ანტანტის მიერ, მაშინ მენშევიკები შეკრავდენ კამარას პროვინციაში—ეს ჩვენი გაკეთებული საქმე არის—თუმცა ღმერთია მოწამე, რო ისინი არაფერ შუაში არ იყვენ. ამ ტურნეში მონაწილეობას იღებდენ უფროსი მინისტრები და ამით თავისებურად ამშვიდებდენ მშიერ ხალხს.

ჩვენ აქ არ შევუდგებით დამფუძნებელ კრების მოღვაწეობის დაფასებას დეტალურათ—ყოველი დეკრეტი ამ კრების ჩვენ გაზეთს თავის დროზე დაუფასებია კრიტიკულად—უნდა ითქვას ისიც, რომ ეს დეკრეტი ხშირათ მიმართული იყო სწორეთ სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ და მათი პარტიული ინტერესებით ნაკარნახევი.

დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებია ჩვენი დამოუკიდებლობა—ეს მოხდა კიდეც, მაგრამ საჭირო იყო დაწერილი კონსტიტუციაც.

დამფუძნებელი კრება სწორეთ იმიტომ იყო მოწვეული რომ შეედგინა კონსტიტუცია მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩვენ არ ვიცით, როგორია ეს კონსტიტუცია?

ვიცით მხოლოთ მთავრობის რელიაციებიდან, რომ 20.000 მანეთი მიეცა ერთ ახალგაზრდა სტუდენტს ჰონორარათ, კონსტიტუციის შესავალის და წერისთვის—ღმერთმა ჰქნას, რომ ეს სტუდენტი სტიპენდიანტი დახელოვნებულ იურისტათ ჩამოვიდეს, ის ევროპაშია გაგზავნილი რომ მოათავოს კონსტიტუციის დაწერა.

მართალია, ეს თითქოს იუმორისტული გამოდის, იქნებ ეს სამარცხვინოც იყოს ჩვენი რესპუბლიკისთვის, მაგრამ ასე იწერება მენშევიკურ საქართველოს რესპუბლიკის ისტორია.

მინებებული კუთხე

ქართველი ხალხი დღითი დღე რწმუნდება იმ ჭეშმარიტებაში, რომ საქართველოს სახელმწიფოს ნორმალური და დაუბრკოლებლივ განვითარებისათვის, მის მისაღწევართა დაკმაყოფილებისათვის აუცილებლად საჭიროა ყველა მისი მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევა. მწარე სინამდვილე ცხადად ჰყოფს ჩვენთვის, თუ რა დამღუპველი ყოფილა ერისა და სახელმწიფოსათვის გამოურკვევლობა პოლიტიკაში, მტკიცე სისტემის გადახვევა, რეალ ცხოვრების მიერ ნაკარნახევ მეთოდის უგულებელყოფა.

ბათომის ეპოპეია—ეს მხოლოდ დასაწყისია უდიდესი საკითხისა, ერისათვის ნაანდერძევ სამკვიდრებელის კანონიერ დაპატრონებაში რომ უნდა გამოიხატოს.

და განა მარტო ბათომის საკითხით შეურაცყოფილია დღეს ქართველი ხალხის თავმოყვარეობა!?

განა ოთხსავე მხრით დასერილი არ არის საქართველოს სახელმწიფოს სხეული!?

ჩვენს გაზეთში დღეს წაიკითხავთ ფრიად საყურადღებო კორესპონდენციას საქართველოს ერთს კუთხიდან, რომელიც ჩვენის უნიათობის გამო, ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აზერბაიჯანის ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფება. იშვიათად მოგვდის რაიმე ცნობა ალაზნის გაღმა მხრიდან—საინგილოდან. ჩვენ სრულებით მივავიწყდა არსებობა საქართველოს განუყრელ ნაწილისა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს სიმტკიცისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სამაჰმადიანო საქართველოს იმერეთისათვის.

ამ მეტის მეტად გართულებულ ხანაში, ჩვენ არ გვინდა იმის აღნიშვნა, თუ რა დიდი და თითქმის გამოუსწორებელი შეცდომები ჩავიდინა სხვა და სხვა დროს სამშობლოს საზღვრების ამოხაზვის საკითხში. განვლილი ჟამი გამოცდილებას გვმატებს და ეს საკმარისია, რომ შემდეგში მეტი წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გამოვიჩინოთ და შევეცადნეთ წამხდარ საქმის გამოსწორებას.

საქართველოს დღევანდელი სულის კვეთება ჩვენ სწორედ ასე გვესმის და იმედი გვებადება, რომ ხალხის შეერთებული ძალა და მისი სახელმწიფოებრივი უნარი უმთავრესად მოახმარდება ის საგანს, რაც ამოძრავებს და ასულდგმულებს ცხოველმყოფელ სახელმწიფოს.

შეცდომის აღიარება უსათუოდ ღირსებად ჩასათვლელია; საერთო სოლიდარობისა და განუყრელობისა ქადაგებაში ჩვენ ველარ შევნიშნეთ, როგორი სისწრაფით გვეცლებოდა ტერიტორია. სრულიად მართალს მოგვითხრობს ბ-ნი კეჩნელი: ზაქათლის ოლქის მივიწყებით და იქ აზერბაიჯანის ხელისუფლების დამკვიდრებით. ჩვენ თბილისს მივაბჯინეთ სახელმწიფოს საზღვარი და მით, არამც თუ ქიზიყი და კახეთი, მთელი აღმოსავლეთი საქართველო საფრთხეში ჩავაყენეთ!

ზაქათლის ოლქის მნიშვნელობაზე „საქართველოს“ ფურცლებზე წინა წლებში ხშირად გვქონია საუბარი მკითხველთან. ამ კუთხის დოვლათი საზღაპროდ უხვია. მისი სტრატეგიული მდებარეობა ისეთია, რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას—ზაქათლის ოლქის მფლობელობა ჰნიშნავს ერთგვარ ბატონობას მთელს ალაზნის გაღმა მხარეზე.

მაგრამ სტრატეგია და ეკონომიკა მხოლოდ არ გვაძლევს კადნიერებას ხმა აღვიმაღლოთ ზაქათლის ოლქის შემოერთებისათვის. ეს მხარე საქართველოს წიაღში ყოფილა მუდამ ჟამს და ეს ფაქტი აღბეჭდილია არა თუ მარტო ზეპირ-გარდმოცემაში და მკვიდრთა მეხსიერებაში, ამას მოგვითხრობს პირუთვნელი ისტორიული დოკუმენტები, ამასვე ჰმოწმობს უთვალავი რიცხვი საისტორიო ნაშთებისა, ეკლესიანი, კოშკები და ციხენი, ქართველ მეფეთა მიერ აღმართულნი!

ეს მხარე აზერბაიჯანმა თანდათანობით „მიითვისა“, ბ-ნი კეჩნელი გადმოგვცემს ერთს ფრიად საყურადღებო მომენტს რომელიც ნათლად ჰმოწმობს თვით ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა, ასე ვთქვათ, ორიენტაციას: ხელ-შეკრულება დადებული ზაქათლის ოლქსა და აზერბაიჯანს შორის უტყუარი საბუთია იმისა, რომ ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის—ლეკობის—გულისყური საქართველოსკენ იყო და დღესაცაა მოპყრობილი. კარგად ვიცით, რომ აზერბაიჯანი ზაქათლის ოლქს ეპოტინება უმეტესად რელიგიური ზრახვით, მაგრამ ისიც ვუწყით, რომ ლეკ-სუნნიტს, თუ არ უყვარს ქრისტიანი გურჯი, მაინც და მაინც არც ყიზილბაში უზის გულში! დღეს ლეკობისათვის ქრისტიანობა საშიშროებას აღარ წარმოადგენს, ვინაიდგან მათ საკმაოდ გაგებული აქვთ ჩვენი სახელმწიფოს მიერ თანაბარი და განურჩეველი პატივისცემა ყოველი აღსარებისადმი...

ზაქათლის ოლქის საკითხი დამთავრებულად არ ჩაითვლება: ქართველობა ასე იოლად ვერ აიტანს სამშობლოს ტერიტორიის ხელშეხებას. ფაქტიურ მდგომარეობას ის მხოლოდ ურიგდება და ისიც ვადამდის.

არ დადგა დრო ანორმალობის აღკვეთისა?

ახლო მომავალში მოსალოდნელია საქართველო სომხეთ აზერბაიჯანის მორიგი თათბირი. სხვა საკითხთა შორის ჩვენს ოფიციალურ დელეგაციას უნდა დაევალოს აღძრას ზაქათლის ოლქის საინგილოს საკითხიც ამ კუთხის საქართველოს საზღვრებში შემოერთებისათვის!

პარტიულ მუშაობისთვის

ერთს თავის მშვენიერ წერილში, ლუი ბლანზე და გამბეტაზე ბ-ნი ნიკოლაძე გამოსთქვამს სხვათა შორის შემდეგ აზრს: გავლენა ხალხზე დამოკიდებულია არა იმდენად მოძღვრების შინაარსზე რამდენად იმაზე, თუ როგორ მიუდგება მოძღვარი ხალხს.

ეს სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, პოლიტიკური მოძღვრების სფეროთ რომ განვისაზღვროთ, იქაც შევამჩნევთ, რომ გავლენას ხალხზე პოულობს არა ის მიმართულება, რომელიც აგებულია ყოვლად უნაკლო ლოღიკურ მსჯელობაზე, არამედ ის, რომელიც იჩენს მეტს ენერგიას ხალხში. თქვენ შეიძლება მშვენიერი მოძღვრებაც გქონდეთ, მაგრამ ხალხი თქვენ არ გაგყვებათ, პირიქით, ის გაჰყვება თქვენს მოწინააღმდეგეს, თუ თქვენ ვერ გამოიჩენთ მის უნარს, რომ გააგებინოთ ხალხს თქვენი მოძღვრების უპირატესობა.

რაღა შორს წავიდეთ ამის დასამტკიცებელი საბუთის საძებნელად? აიღეთ ჩვენი სოციალ-დემოკრატების მაგალითი. ვინ იქნება დღეს საქართველოში ისეთი რეგვენი, რომელსაც გაეგებოდეს, თუ რა ხდება მის გარშემო, (და ამასთან ერთად ის არ იყოს დარწმუნებული, რომ სოციალ-დემოკრატების მოძღვრება ყოვლად უვარგისი რამ ყოფილა?) განა თვით სოციალ-დემოკრატები არ აღიარებენ ამას მალულად, როდესაც ისინი პრაქტიკულ ცხოვრებაში მოქმედებენ ისე, თითქო მათ მოქმედებებს საფუძვლად უდევდეს ისეთი შეხედულება, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მათ თეორიულ მოძღვრებას? მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატების ავტორიტეტი ჯერაც არ დაცემულა სავსებით. და თუ ის დაეცემა, ეს მოხდება არა იმისთვის, რომ მათი მოძღვრება უვარგისია, არამედ იმისთვის, რომ მათი პრაქტიკული მოქმედება არ შეეფერება ხალხის ინტერესს.

ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ მოძღვრების სისწორეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: არა, მოძღვრება კარგია, ის აუცილებლად საჭიროც არის, მაგრამ მოძღვრებას სჭირია ხალხში გატანა, პროპაგანდა. მხოლოდ პროპაგანდის საშუალებით ხორცს ისხამს ყოველი პოლიტიკური მოძღვრება. თუ პროპაგანდის საშუალება მოსპეთ, პოლიტიკური მოძღვრება კაბინეტში გამოგონებულ უბრალო თეორიად რჩება.

ჩვენი მოძღვრების უპირატესობა სოციალ-დემოკრატების თეორიასთან შედარებით, ცხადზე უცხადესია. განა თვით სოციალ-დემოკრატები არ გრძნობენ ამას, როდესაც დღეს ჩვენი თეორიის სამოსელში ეჩვენებიან ქართველ ხალხს. თუ ჩვენი მოძღვრება უვარგისია, როგორც სოციალ-დემოკრატები არწმუნებენ ხალხს, რისთვის ითვისებენ ისინი დღეს ამ მოძღვრების მთავარ დებულებებს?

საქმე იმდენად მოძღვრების სიწმინდეში არ ყოფილა, რამდენად სხვა რამეში. ეს „რამე“ არის ხალხში მუშაობა, ენერგიის გამოჩენა. თუ ენერგია არ გაქვს, სხვა ისარგებლებს იმით, რაც შენ შეგიქმნია. და შენ პირში ჩალა გამოვლებული დარჩები.

აი ეს უნდა კარგად ახსოვდეს ყველას, ვინც დღეს ჩვენს პარტიულ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს.

ჩვენ უნდა გავაჩაღოთ პარტიული მუშაობა. განსაკუთრებით ეს წერილი მიმართულია სამაზრო პარტიული კომიტეტებისადმი. თითოეულმა კომიტეტმა უნდა შეადგინოს თავის სამუშაო გეგმა. ამ გეგმას საფუძვლად უნდა დაედვას პარტიის წესდება, რომელიც მიიღო საერთო პარტიულმა კონფერენციამ.

გარდა ამ წესდებაში გამოთქმული აზრებისა, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მოსაზრებითაც: ჩვენი ყურადღება დღეს უმთავრესად ჩვენი მოძღვრების ხალხში გავრცელებას უნდა მიექცეს. ამ მიზნისათვის ჩვენ ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ, რის გამოყენებაც შეიძლება, ჩვენს პროპაგანდას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი. ადგილობრივი თვითმართველობები, სადაც დღეს იჭედება საზოგადოებრივი აზრი პარტ. მუშაკების ჯეროვან ყურადღებას უნდა იპყრობდეს. აქ უნდა ჩვენ გამოვჩინოთ ჩვენი თავი. ამისათვის სრულიად საკმარისია, თუ ადგილობრივ თვითმართველობებში ჩვენი პარტიის სახელით ვამხილეთ მრავალი უწესოება და ბოროტმოქმედებაც, რომელსაც სჩადიან იქ გაბატონებული ჯგუფები.

რომ ამის განხორციელება შესაძლებელი იყოს, ჩვენ უნდა შეგნებული წარმომადგენლები გვყავდეს ამ დაწესებულებებში. მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა რომ სამაზრო კომიტეტმა გარედან გაუწიოს ხელმძღვანელობა ადგილობრივ თვითმართველობებში მომუშავე ამხანაგებს: მიაწოდოს მათ დარიგება, რჩევა, მორალური დახმარება. სამაზრო კომიტეტმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა სახით შეუძლია მას ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივ თვითმართველობებში ჩვენი პარტიული ამხანაგების მუშაობას.

გარდა სისტემატიური პროპაგანდისა, საჭირო და შესაძლებელიც არის პროპაგანდის გაწევა სპორადიულად. აქ ვგულისხმობ ყოველგვარ მიტინგებს სახალხო ლექციებს და სხვას. ასეთი მიტინგები ხშირად ხდება ამ უკანასკნელ დროს. სამწუხაროდ, ჩვენი პარტიის წარმომადგენლები ამ ყრილობებზე არ სჩანან. ლაპარაკობენ მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები, ბოლშევიკებიც კი, ეროვნულ-დემოკრატები არ სჩანან.

რისთვის!?

იმ ხანამ, როდესაც ყველას, ვინც არა-სოციალ-დემოკრატი იყო, აკრძალული ჰქონდა ხალხთან ლაპარაკი, განვლო. ეს უნდა შევიგნოთ კარგად. ხალხს სწყურია ჩვენი სიტყვა და ჩვენც უნდა მივაწოდოთ მას იგი. არც ერთი მიტინგი, ან სხვა გვარი ყრილობა (მანიფესტაციები) არ უნდა დავტოვოთ, რომ მონაწილეობა არ მივიღოთ მასში. ჩვენი დროშაც ფრიალებდეს სხვა პარტიების დროშებში, ჩვენმა ორატორმაც ილაპარაკოს სხვა ორატორებთან.

სამაზრო კომიტეტმა უნდა მოაწყოს ეს საქმე მთელს მაზრაში. შეიძლება ამისათვის მას დასჭირდეს ცალკე პროპაგანდისტი. როგორ გაიჩენს ის ასეთ პროპაგანდისტს, ეს კერძო საკითხია, რომელსაც თვითონ სამაზრო კომიტეტი გადასწყვეტს.

ადგილობრივ თვითმართველობებში მუშაობის და ადგილობრივ პროპაგანდის სახელმძღვანელოდ სამაზრო კომიტეტს დასჭირდება ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების მოწყობა. ასეთი ორგანიზაციები უნდა მოეწყოს წელსვე ყველა სასოფლო საზოგადოებაში. არც ერთი სოფელი არ უნდა დარჩეს ისე, რომ მას არ ჰქონდეს ჩვენი პარტიული ორგანიზაცია. ეს აუცილებელი მოთხოვნილებაა, რომელიც დაადასტურა საერთო პარტიულმა კონფერენციამ.

სამაზრო კომიტეტის და ადგილობრივ სასოფლო ორგანიზაციების შორის უნდა იყოს რეგულიარული ურთიერთობა. სამაზრო კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს დაწვრილებით წესი ასეთი ურთიერთობისა. (განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის წევრთა სწორ რეგისტრაციას). კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამაზრო კომიტეტმა უნდა აგრძნობინოს ყველა პარტიულ წევრს, რომ მას ჰყავს მზრუნველი კომიტეტის სახით. სამაზრო კომიტეტმა უნდა დაიცვას ზოგჯერ ჩვენი პარტიის წევრის შელახული პიროვნული უფლებებიც. ამას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს ხალხის თვალში.

გარდა ამისა სამაზრო კომიტეტს უნდა ქონდეს მჭიდრო და განუწყვეტელი სისტემატიური ურთიერთობა მთავარ კომიტეტთან. სამაზრო კომიტეტი უნდა აწვდიდეს მთავარ კომიტეტს ყოველ თვიურად თუ რა მოხდა მაზრაში პარტიული მუშაობის თვალსაზრისით (ახლად გახსნილი ორგანიზაციები, ახლად შეძენილ წევრთა რიცხვი, შესანიშნავი შემთხვევები პარტიის ცხოვრებიდან: მიტინგები, მანიფესტაციები, ლექციები და სხვა). ყოველგვარი ღირს შესანიშნავი შემთხვევა მაზრაში ჩვენი გაზეთის რედაქციას საშუალება მიეცეს დროულად ჩვეულის ის პრესსაში. საზოგა საჭიროა გაზეთთან მუდმივი თობა.

აი უახლოესი მიზანი. მაგ ლი ორგანიზაციები; 2) ახალ ბის მიყრობა (რეგისტრაცია) გილობრივ თვითმართველობებ შაობის ხელმძღვანელობა; 4) ყრილობებზე გამოსვლა; 5) ტიური ურთიერთობა მთავარ ტეტთან—ყველა ეს უნდა განხო დეს უსათუოდ. „როგორ განხო დეს“, ამაზე უნდა თითოეულმა რო კომიტეტმა ცალკე იფიქრ

ამ სახით შეგვიძლია ჩვენ ვლენა გავაძლიეროთ. ყველა საჭიროა არა იმისთვის მხოლ მივაღწიოთ ვიწრო პარტიულ იმ დროს, როდესაც ჩვენ ვამ ჩვენ პარტიულ გავლენას, ჩვენ რებით ქართველი ხალხის ინტ არ შეიძლება რომ ერი ის როვანი იყოს, როგორიც არ ჩვენი ქვეყანა. ეს ერთფეროვ ოპოზიციის სისუსტე ძლიერ ჩვენს ეროვნულ განვითარებას. დაც არ არის ოპოზიცია, სა ებრივი ცხოვრება მოდუნებუ

ხ. დარ

უცხოეთი

ევროპის გაზეთებიდან

ინგლისი და წითელი საფრთხე აზიაში

(Secolo-დან).

მილანის გაზეთი ეხება ბოლშევიკურ საფრთხეს აზიაში და სწერს:

ბევრს ჰგონია და დარწმუნებულია, რომ წითელი საფრთხე ეხება მხოლოდ ინგლისს და თითქოს უხარიან, რომ მოსალოდნელი უწესოებანი მის პრესტიჟს დასცემენ.

ეს დიდი შეცდომაა, სწერს გაზეთი.

ბოლშევიკების გამარჯვება აზიაში ყველას დაგვაზარალებს როგორც კომერციულად, ისე პოლიტიკურად. თუ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ ჩვენსა და საზოგადოდ ცივილიზაციის ინტერესებისათვის, თუ ჩვენ გვსურს მუდმივი პროგრესი, თუ ჩვენ მართლა გვსურს ეკონომიური აღორძინება—ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ინგლისის გავლენა აზიაში არ შემცირდეს. ევროპის ერები იქნებიან ზომიერნი, მეტ პოლიტიკურ სიბრძნით აღჭურვილნი. მხოლოდ, ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი თავი და დავიცვათ ის პოზიცია, რომლიდან უნდა ვაწარმოვოთ ბრძოლა ევროპის ღირებულებისთვის, მის მატერიალ და მორალ ინტერესებისათვის.

რუსეთი და მოკავშირენი

(Stamboul-დან).

„დაილ ქრონიკლე“ ეხება იმ მემორანდუმს, რომელიც წარუდგინეს მთავრობას რუსეთის შესახებ ცნობილმა პირებმა და რომელთა შორისაც არის გენ. პაუ (gaugh). გაზეთი სწერს, საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, გვიყვარს თუ არ გვიყვარს რუსეთი, მოგვწონს ლენინი და ტროცკი თუ არა, საკითხი იმაში მდგომარეობს — გვსურს თუ არა რუსეთთან ომი, მასთან მშვიდობიან განწყობილებასა თუ მტრულს განწყობილებაში ყოფნა გვირჩევნია.

არც ერთს მოკავშირე ქვეყანას არ ჰსურს რუსეთთან ომი არც დიდ-ბრიტანეთს არც საფრანგეთს არც ამერიკას თა არც იტალიას, არ ჰსურთ რუსეთის ტერიტორიაზე ჯარების გაგზავნა ზავი მეტად სასურველი იქნებოდა რომ შესაძლებელი იყოს მისი დამყარება კარგ პირობებზე.

ეს კარგი პირობები გულისხმობენ ახალ მეგობრულ სახელმწიფოთა ცნობას, იმ სხვადასხვა გვარ ინტერესების უზრუნველყოფას, რომელიც ჩვენ გვაქვს აზიაში და დასასრულ რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას.

მემორანდუმის ხელის მომწერნი დიდ მნიშვნელობას აწერენ რუსეთიდან დასავლეთ ევროპისათვის ხორბლის გამოტანას.

გერმანია

რადეკის წერილი.

გერმანული პრესა აღშფოთდა „ცუკუნფტ“-ში მოთავსებულ იმ წერილის გამო, რომელსაც ხელს აწერს ბოლშევიკურ პროპაგანდის მეთაური, ლენინის მიერ გერმანიაში გაგზავნილ კარლოს რადეკი: იგი სწერს: „რუს კომუნისტებს ჰსურთ გერმანეთისა და რუსეთის მჭიდრო კავშირი რუსეთის თვის ასაღორძინებლად სჭირდება პირები. რუსეთისათვის საჭი რეთვე, გარდა გერმანელ ინჟ სა, ყველა ის საგნები Mades i manu, რომლებსაც კი ამზადებ მანია, რადგან უშველებელი რომელიც დღეს დაშლილია, ძალთა დაუხმარებლად ვერას ყობს. რუსეთი გერმანეთისთვის კეთესო საექსპორტო, ქვეყანა დასასრულ რადეკი გამო რწმენით აღსავსე აზრს, რომ თი და გერმანეთი შესძლებენ ხმებას და ძველს მეზობლურ ერთობის აღდგენას.

უმაღლესი ეკონომი საბჭო

უმაღლესმა ეკონომიურმა შემდეგი რეზოლიუციები მიიღ

კურსის მდგომარეობა

უმაღლესმა ეკონომიურმა განიხილა რა კურსის კრიზისით ვეული საერთო ფინანსიური რეობა, სასურველად მიიჩნია, ფრანგეთის, დიდ-ბრიტანეთის, ლეთის და ბელგიის ოთხი კომ ტური მინისტრი შეიყარონ და ხონ საერთო ღონისძიებანი გასაუმჯობესებლად.

ტონნაჟის საკითხი მომარაგების

საბჭომ გამოსთქვა სურვილი საქმეს შეუდგნენ გერმანეთის ჟის აღსადგენად მომუშავე კომი ავსტრიის ტონნაჟის აღმდგენელ სიის მომწყობი კომიტეტი.

ხორბლის მომარაგება

საბჭომ დაადგინა, რომ და მომარაგების კომიტეტი, რომ დაევალება ხორბლის შესყიდვა შირეთა ხარჯზე.

ინგლისი

კურსის აწევა

ამ უკანასკნელ ხანს ლონ სტერლინგის კურსმა, ამერიკულ თან შედარებით, შესაჩნევად აიწია აგრეთვე ფრანკის ღი ლებამ.

მარკების ღირებულებასაც დენი გაუმჯობესება დაეტყო.

რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

ინგლისელები რუსეთში.

ჩერჩილმა პარლამენტში დაად რა: ორ თვეზე წინ დენიკინი თში იმყოფებოდა 394 ბრიტ ოფიცერი და 7,929 სხვა... (და ჯებულია) ბრიტანეთის სამხედრო სიასთანო. ინგლისელები ბრძოლ არ ღებულობდენ მონაწილეობას, და მფრინავთა მცირე ნაწილისა

ბოლშევიკების სამხედრო ცნო

მარტის 10. მურმანის მიმართ ბით ჩვენმა ჯარმა კანდალაკშა მდ. კემის რაიონში მზვერავებ კმედებენ. პალატოვის მიმართ მტრის არტილერია მოქმედებ ნის მიმართულებით მტრის მოვიგერიეთ. ოვრუჩის და ნის რაიონში მდგომარეობა ლილა. ვოლინის ნოვგოროდ ში მზვერავები მოქმედ

ვის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოდოლის მოგილევის რაიონში ჩვენი ჯარი ამ ქალაქის აღმოსავლეთით და სამხრეთით იბრძვის. დნესტრზე სიწყნარეა. პერეკოპის და სივაშის რაიონში მტრის იერიშები უშედეგოთ სწარმოებს. ჩვენ ქალაქი ესკი მტრისაგან გავწმინდეთ. ეკატერინოდარის სამხრეთ-აღმოსავლეთით რკინის გზის ხაზზე მტერს ვავიწროვებთ. ხელში ჩავიგდეთ ქონება.

მიზნები სურსათის დარგში.

სასურსათო პოლიტიკის დარგში შემდეგი მიზნებია: 1) მთელი ძალების დახმარებით რამდენიმე მილიონი ფუთი სასურსათო ფონდში შეკრება. 2) სასურსათო ბაზის სახით მისი განაწილება იმ ოლქებში სადაც მრეწველობაა შეკავშირებული. 3) სასურსათო პოლიტიკა უნდა პირდაპირ დაემორჩილოს მრეწველობის აღორძინების მიზნებს, უნდა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ რიგში ტრანსპორტი და მთავარი სამრეწველოები.

შრომის არმია. შრომის მიზნებისათვის სამხედრო ნაწილების გამოყენებას აქვს ერთგვარი პრაქტიკული (სამეურნეო და სოციალისტური) და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სამხედრო შრომის ფართო მასშტაბით ცხოვრებაში მიზან-შეწონილ გატარების პირობებს წარმოადგენს უბრალო ხასიათი შრომისა, რომელიც ყველა წითელი არმიელისათვის მისაწვდომი იქნება. გაკვეთილების სისტემის გატარება რომლის აუსრულებლობის დროსაც შემცირებული იქნება ხვედრი წილი. სამუშაოთ სხვილ სამხედრო ნაწილების გაწვევა იძლევა წითელ არმიელთა უფრო დიდ პროცენტს. ამიტომ მშრომელთა არმიელი მუშაობა ჯარის აპარატის შენახვასთან ერთად უნდა გამართლებულ იქნეს იმდენად, რამდენათაც აუცილებელია სამხედრო მიზნებისათვის ჯარის შენახვა. როგორც კი ეს საჭიროება აღარ იქნება, აუცილებელია მოვსპოთ შტაბები და მართველობანი და ვისარგებლოთ კვალიფიციურ მუშების საუკეთესო ელემენტებისაგან და მნიშვნელოვან სამრეწველოებში დამკვრელი რაზმები შევადგინოთ.

შრომის დეზერტირები. რადგანაც მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი სურსათ-სანოვაგის მხრივ უზრუნველ-საყოფად უკეთეს პირობებს ეძებს და ხშირად სპეკულაციის მიზნით თავისი ნებით სტოვებს წარმოებას და ადგილიდან ადგილზე გადარბის, რითაც ფერხდება წარმოება და ფუჭდება საერთო მდგომარეობა ამიტომ საბჭოთა მთავრობისა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა მიზანი უნდა იყოს სისტემატიური სისწორით განსაზღვრული, დაუდგრომელი და მკაცრი ბრძოლა შრომიდან დეზერტირობასთან.

კერძოდ უნდა გამოქვეყნდეს დეზერტირთა საჯარიმო სია (გამოტოვებულია) და ბოლოს მოხდეს მათი კონცენტრაციულ ბანაკებში დამწყვდევა.

სუბოტნიკები. სუბოტნიკებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე ეს ამჟამად არის სუბოტნიკებისათვის, უნდა იქნეს არჩეული ადგილობრივ მცხოვრებლების მახლობელი მიზნები. უნდა მივცეთ მას კოლექტიური შრომის ხასიათი (გამოტოვებულია) არა ნაკლები მნიშვნელოვანი: ყოველი სუბოტნიკისათვის ყოველმხრივ მოფიქრებული გეგმა. მიზან შეწონილი განაწილება და მათი ეკონომიური გამოყენება და მხოლოთ ამგვარ პირობებში შეუძლიათ სუბოტნიკებს შეიჭრან ღრმად ცხოვრებაში და ამით სხვებიც გაიტაცონ სამუშაოდ და შექმნან ნაყოფიერი მუშაობა. განაგრძობრა მთელის ენერგიით წაქეზებას თითეულ ცალკე წრეების მოძრავ შემადგენლობის შეკავშირების საქმეში, აუცილებელია ნათელი ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს, რომ ამგვარი კულტურული მეთოდით შეიძლება იქნეს მხოლოდ დროებითი ხასიათისა. რადგან ის იმ დომებს მრავალ კვალიფიციურ მუშას. ჯერჯერობით არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მახლობელ თვეებში ან წელიწადში სახლვარ-გარეთიდან ორთქლმავლებს მივიღებთ. აუცილებლობას წარმოადგენს მოვაწყოთ ორთქლმავლის მასიური წარმოება და გავადიდოთ მეტად ვიდრე ეს ომამდის იყო. ამ მიმართულებით გამარჯვების პირობას წარმოადგენს ნამდვილი დამუშავება და ცხოვრებაში ენერგიულად გატარება იმ გეგმისა, რომელიც წინასწარ გამოანგარიშებულია შესაფერ ქარხნების რიცხვზე წარმოების ამერიკანიზაციის დროს.

ეპიდემიასთან ბრძოლა.

შრომის მთავარმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ინსტრუქცია სახალხო ჯანმრთელობის დარგში. ხოლერის ძლიერი განვითარება მოსალოდნელია დასახლებულ ადგილების დაბინძურების გამო. შრომის მთავარი კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შრომის ბეგარა გამოაცხადონ სანიტარულ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად პირველი საქმეა გაიწმინდოს დასახლებული ადგილები ნაგავისაგან და გადაიზიდოს დანიშნულ ადგილზე. 2) გასუფთავდეს საზოგადოებრივი შენობები და ის ადგილები, სადაც მცხოვრებლები იყრიან თავს, და თუ საჭიროება მოითხოვს შეკეთდეს ეს შენობები, 3) მოწესრიგდეს საავადმყოფოები სარეცხის საცვლის შეკეთების. ავადმყოფების გადაყვან-გამოყვანისა და სხვა საქმეთა მოსაწესრიგებლად უნდა გამოყონ კვალი ოფიციალური მუშაკები.

საფრანგეთი

(საქ დეპ. სააგ.)

ლიუსენ პუანკარეს გარდაცვალება

სამშაბათ დილით უეცრად გარდაიცვალა ლიუსენ პუანკარე, პარიზის აკადემიის რექტორის ამხანაგი და ძმა რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტის რაიმონდ პუანკარესა.

კლემანსო

ათინიდან იტყობინებიან: აფრიკიდან დაბრუნებისას კლემანსო ათინას გამოივლისო. მას დიდის ამბით შეეგებებიან.

პოლონეთი

პოლონეთი და რუსეთ უკრაინის საზავო მოლაპარაკება

(საქ. დეპ. სააგ.)

რუსეთისა და უკრაინის საბჭოთა მთავრობანი ფიქრობენ, რომ მათ გულწრფელად შეუძლიათ განუცხადონ მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ მათის აზრით, მოკავშირეებს შეუძლიათ უფრო სწორი და ნათელი განცხადებებით, ვიდრე ამას წინეთ იყო გამოქვეყნებული, ხოლო მოუწოდონ პოლონეთის მთავრობის შემოტევას, რომელიც, საუბედუროდ, მერყეობს იმ მოლაპარაკების დაწყებაზე, რომლის წინადადებაც მათ რუსეთსა და უკრაინის საბჭოთა მთავრობებმა მისცეს. ამ მოლაპარაკებას შეუძლია, რომ კეთილმყოფელ შედეგს მიაღწიოს, თუ კი პოლონეთის მთავრობა შესაძლებელ შეთანხმების გზას გაუხსნის.

მაროკკო

(საქ. დეპ. სააგ.)

მაროკკოს ნაპირებთან

მაროკოს ნაპირებთან ქარიშხალია. კაზაბლანკას ახლო მყოფ გემ „ვენეცუელოს“ მდგომარეობა გაცუდდა. დეპეშით იუწყებიან, რომ გემის მდგომარეობა კრიტიკულია. ეკიპაჟი ნაპირზე გადმოსხეს. გემი გაგლეჯილია რამდენიმე ადგილას. 700 ტონი საქონელი, რომელიც გემზე იმყოფება დაკარგულად უნდა ჩაითვალოთ. ტულონიდან იტყობინებიან: ნავთსადგურის მთავრობა ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ გემს როგორმე დაეხმაროს. ქარიშხალმა კიდევ დიდი ზარალი მოიტანა. ამერიკის სანახშირე გემმა, 3000 ტონა ზარგით კლდეს მიაჯახა გადარჩენის დროს მრავალი მატროსი დაიჭრა. ორი მატროსი დაიხრჩო.

ინგლისი

(საქ. დეპ. სააგ.)

ინგლისს სტამბოლი მიაქვს

ნათლად სჩანს, რომ ინგლისი ცდილობს სტამბოლი და შავზღვაზე გასასვლელი სრულიად ხელში ჩაიგდოს. ინგლისი, როგორც სჩანს, ამ მიზნით 80,000 კაცისაგან შემდგარ ჯარს ადგენს.

გერმანია

(საქ. დეპ. სააგ.)

ომის კანონების დარღვევაში დამნაშავე პირების სია

„ნაციონალ ცაიტუნგი“ იუწყება: გერმანიამ შეადგინა სია ომის კანონების დარღვევაში დამნაშავე პირებისა, რომელთა გაცემასაც გერმანიის მთავრობა მოითხოვს. ეს სია მოკავშირეთა სიაზე უფრო გრძელია და შესდგება უმთავრესად ინგლისელ და ფრანგ ოფიცრების და ჯარისკაცებისაგან, რომელნიც გერმანელ სამხედრო ტყვეებს ცუდათ ეპყრობოდნენ.

უნგრეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

ხმები საბჭოთა მთავრობის მოხსნობის შესახებ.

უნგრეთში საბჭოთა მთავრობის მოსპობის შემდეგ ხმები არ ცხრება სახელმწიფოს გადატრიალების და მონარქ კარლის უფლების აღდგენის შესახებ. თვით კარლი სახლის გამოცვლით ფიქრობდა ბუდაპეშტში მისვლას, რომ გადატრიალების შესაძლებლობა თავის სასარგებლოთ შემსუბუქებია,

ამერიკა

კოლბი და საბჭოთა რუსეთი.

(საქ. დეპ. სააგ.).

შეერთებული შტატების ახალი მინისტრი კოლბი საბჭოთა რუსეთთან შეთანხმების მომხრეთ ითვლება გადმოგვცემენ, რომ კოლბი საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას მოითხოვს.

შვეცია

მეფის ბაასი ბრანტინგთან.

(საქ. დეპ. სააგ.).

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით მეფეს ბაასი ჰქონია შვეციის დემოკრატიულ პარტიის ბელად ბრანტინგთან. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ შეიძლება ბრანტინგს კაბინეტის შედგენა მიანდოს.

რუმინეთი

რუმინეთის გემები.

(საქ. დეპ. სააგ.).

ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის გემებმა, რომელთაც რამდენიმე ხნის წინეთ შესწყვიტეს ნაოსნობა, ეხლა კვლავ განახლეს სწორი მიმოსვლა. კონსტანციიდან წავიდა გემი კონსტანტინეპოლისა და ნეაპოლს.

თემთა პალატის თავმჯდომარის სალამი საქართველოს.

ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ამიერ-კავკასიაში ლონდონიდან მიიღო დაგვიანებული დეპეშა დამფუძნ. კრების თავმჯდომარის უფროს ამხანაგ ალ. ლომთათიძის სახელზე გამოგზავნილი თებ. 21-ს თემთა პალატის სპიკერისაგან:

„თემთა პალატის სახელით მსურს თქვენ მადლობა გამოგიცხადოთ იმ მეგობრულ გრძნობების გამოცხადებისათვის, რომელთაც ჩვენც ვიზიარებთ.

მე სიხარულს განვიცდი იმ გარემოების გამო, რომ შემთხვევა მეძლევა გამოგიცხადოთ ბრიტანეთის პარლამენტისა და ხალხის სახელით, რომ ისინი სამართლიანად სთვლიან ქართველ ერის მოთხოვნათ და სცნობენ მის დამოუკიდებლობას.

დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა

დღეს, დღის 11 საათზე დანიშნულია დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა. რუსეთის რევოლიუციის 3 წლის თავის დამფუძნებელი კრების წლის თავის შესრულების გამო. კრებაზე წარმოთქმულ იქნება მხოლოდ სამი სიტყვა მთავრობის წევრების მიერ.

ახალი ამბები

მთავრობაში

24 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

მთავრობის სახლის შეკეთება.

მთავრობის სახლის დამწვარ ნაწილის შესაკეთებლად ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილებათა შესაძენად და სხვა სააღმშენებლო საჭიროებისათვის საბიუჯეტო წლის ბოლომდე გადაიდოს 1,686,000 მან.

სადგურებზე და სოფლის სამმართველოებში ფოსტის ოპერაციების წარმოება.

რკინის გზის სადგურებზე და სოფლის სამმართველოებში ფოსტის ოპერაციების მაწარმოებელ პირებს 1 იანვრიდან წლიურად მიეცეთ რკინის გზის უფროსებს—2400 მ., მათ თანაშემწეებს 1200 მან., სოფლის სამმართველოებს 1200 მ. და საკანცელარიო ხარჯებისათვის 600 მან. ამ ხარჯების დასაფარავად 1 იანვრიდან საბიუჯეტო წლის ბოლომდე გადაიდოს 42,421 მ. 69 კ.

გზათა დეპარტამენტის შტატის გადიდება.

მიღებულ იქმნას მოხსენება გზათა დეპარტამენტის შტატის გადიდებისა და ზოგიერთ მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს შესაფერი დეკრეტი.

23 მილ. მან. უწყებათა სამეურნეო ხარჯებისთვის

26 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: პროექტი დეკრეტის რესპუბლიკის უწყებათა საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯების დასაფარავად საბიუჯეტო წლის ბოლომდე 23,115,572 მან. გადადების შესახებ, სახელმწიფო კონტროლიორის შესწორებით და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სამინისტროებში

გორის რკინის გზის მოსამსახურეთა მოქმედების გამოძიება.

ქ. გორში და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრის დროს რკინის გზის მოსამსახურეთა მოქმედების გამოძიება დაინიშნა.

სომხეთის უნივერსიტეტისთვის წიგნების და სხვა საგნების გაზიდვა.

სომხეთის მისიამ შუამდგომლობით მიმართა მთავრობას, ნება დართოს გუმბრიში იქმნეს გადატანილი სომხეთის უნივერსიტეტისთვის თბილისში შეძენილი წიგნები, ლაბორატორია და სხვა მოწყობილობა ეს შუამდგომლობა განათლების მინისტრს გადაეცა დასკვნისათვის.

საქსოვ-მანქანების შეძენა უცხოეთში

საქართველოს საზავო დელეგაციის თავმჯდომარის ნ. ჩხეიძის განკარგულებაში გადაეცა 600,000 მანეთი საქსოვ ქარხნისათვის საჭირო მანქანების შესაძენად.

კრედიტების წესის შეუსრულებლობა.

ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მომარაგების სამინისტრო კრედიტების დახარჯვის დროს კრედიტების ჩვეულებრივ წესებს არ ასრულებს.

ახალი სამხედრო ფორმა

სახელმწიფო კონტროლმა მიიღო დასკვნისათვის მოხსენება ოფიცრებისა და ჯარისკაცების ახალი ფორმის შემოღებისა და ოფიცრებისათვის ამ ფორმის შესაძენად თითოს 2000 მანეთის მიღების შესახებ.

ახალციხის სასურსათო კომიტეტში მომხდარ ბოროტ მოქმედების გამოძიება.

უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა მ. ჯომარჯიძემ დაასრულა კვლევა-ძიება ახალციხის სასურსათო კომიტეტში მომხდარ ბოროტ-მოქმედების საქმე. პასუხისგებაში აძლევენ ხსენებულ კომიტეტის გამგეს ჩილინგაროვს.

სინოდალურ კანტორის გაუქმება.

განზრახულია „კავკასიის სინოდალურ კანტორის გაუქმება.

ახალციხის ქალაქის არჩევნებში გვარდიელთა მონაწილეობის შესახებ.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, თანახმად ახალციხის სამაზრო შტაბის თხოვნისა, შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელთ უფლება მიეცეს ახალციხის საქალაქო არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, არჩევნები დანიშნულია 21 მარტს, იმ შემთხვევაშიაც კი თუ გვარდიის ნაწილების გადაჯგუფების გამო, არჩევნების დღეს ნაწილები ქალაქის ფარგლების გარეშე იქნებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ განმარტა, რომ საქალაქო არჩევნებში გვარდიის ნაწილები მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი არჩევნების დღეს იქნებიან ქალაქის ფარგლებში და დაცული იქნება საქალაქო დებულების სათანადო მუხლი.

ქვიშის საზოგადოების მიწერა რაჭის მაზრაზე.

ლეჩხუმის მაზრის ქვიშის საზოგადოება თხოულობს გამოყოფილ იქნეს ცალკე თემად და მიწერილი რაჭის მაზრაზე როგორც გამოირკვა, ქვიშის საზოგადოება წინად რაჭის მაზრას ეკუთვნოდა, აგრეთვე გეოგრაფიული მდებარეობა ხსენებულ საზოგადოებისა ისეთია, რომ ქვიშის რაიონი ბუნებრივ ნაწილს შეადგენს რაჭის მაზრისას და ქვიშის საზოგადოებას მჭიდრო კავშირი აქვს რაჭის მაზრის მაღლობელ საზოგადოებასთან. თემი უნდა მოეწყოს დ. ჭრებალოში. ამ გვარად ჭრებალოს სათემო ერთეულში შევლენ: ს. ს. ქვიშარი, ქვიში, გენდუში, ლაბეჭინა და ჟოხი. აღნიშნული სოფლები მდებარეობენ მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ლეჩხუმის მაზრიდან ამ რაიონს ჰყოფს, ეგრედ წოდებული, გვლის მთა. რაჭის მაზრიდან კი მდ. რიონი. ამჟამად შინ. ს. სამ. შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დ. ჭრებალოსთან მდ. რიონზე ხიდის გასაკეთებელი თანხა გაიღოს მთავრობამ ხიდის გაკეთების შემდეგ ყოფილ ქვიშის საზოგადოება უფრო დაუკავშირდება რაჭის მაზრას. ამ საკითხის დადებითი გადასაჭრელად შინ. ს. მინ. სათანადო შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

— გუშინ 11 მარტს, საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ე. გეგეჭკორს წარუდგა ბრიტანეთის სავაჭრო ბანკების წარმომადგენელი ბ-ნი დინ.

უმაღლეს „კრუგის“ წარმომადგენელთა დაბრუნება.

ერევნიდან თბილისში დაბრუნდნენ უმაღლეს „კრუგის“ წარმომადგენელნი.

იტალიის მისიის გამგზავრება

შაბათს, 13 მარტს, იტალიის მისია შეიმგზავრება უკანვე. მისიამ მრავალი საგულისხმო საკითხი გადასჭრა საქართველოს მთავრობასთან. ზოგიერთი საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა გადასდო იტალიაში ჩასვლამდე.

მისტერ ოლივერ უორდროპთან

გუშინ, 11 მარტს, მისტერ ოლივერ უორდროპი ინახულეს გარეშე საქმეთა მინისტრ ბ-ნ გეგეჭკორმა და სამხედრო მინისტრმა ბ-ნ ლორთქიფანიძემ, რომელთაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ.

დამფუძნებელ კრებაში

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი.

ოთხშაბათს, მარტის 10, საღამოს 7 ს., შესდგა დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. ვრცელი განმარტებებით და ხაზგასმით კომისიამ მოისმინა ხუთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების თეზისები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. შემდეგ სხდომაზე, კომისიას წარედგინება დანარჩენ ეროვნულ საბჭოების თეზისები, რის შემდეგაც შეუდგება საბოლოო საკონსტიტუციო ნორმების გამომუშავებას.

სხვა და სხვა ამბები

სტუდენტთა გამგეობის საყურადღებოდ

დღეს, ნაშუადღევს 3 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ მსმენელთა კავშირის ძველი გამგეობა სტუდენტთა სასადილოში იწვევს ახლად არჩეულ გამგეობა ანგარიშის ჩასაბარებლად. ძველი გამგეობის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ინგლისურ ფირმის წარმომადგენლების მოსვლა

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა თამბაქოს ინგლისურ ტრესტის წარმომადგენელი ცნობილი ლონდონელი ვექილი უილბერტ საჩელი, ძმა ინგლისის ყოფ. შინაგან საქმეთა მინისტრის და მდივანი კაპ. უიდი. წარმომადგენლებს მიზნად აქვს გამართონ საქართველოს მთავრობასთან ფირმის ზოგიერთ საქმეების შესახებ მოლაპარაკება. სხვათა შორის უაიდმა კარგად იცის რუსული ენა და [illegible] ის აწარმოებდა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას ტყვეების გაცვლის შესახებ.

ბ-ნ დავიდ-ხანიანის გამგზავრება

სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული ბ-ნ დავიდ-ხანიანი დღეს მიემგზავრება თბილისიდან ჯალალ-ოღლიში, რათა იქ დაარსოს თავშესაფარი ლტოლვილთა ბავშვებთათვის.

ფოსტა-ტელეგრაფში

ტელეგრაფის განყოფილებ შუა სურები (ოზურგეთის მაზრა) გარდაიქმნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათ. ფოსტის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს ჩოხატაურთან.

მწერალთა კავშირში

მწერალთა კავშირის საბჭო ამ ახლო ხანში გამართავს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გრანდიოზულ საღამოს, ამორჩეულია საღამოს მომწყობი კომისია.

— მწერალთა კავშირის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიენდოს თავმჯდომარეს, რათა გაიგოს რამდენი ერგება მწერალთა საბჭოს იმ მილიონიან ფონდიდან, რომელიც გადადებულია ხელოვნებისათვის.

სამხატვრო ქრონიკა

თავისუფლების დღე. საქ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირი და ქართ. სამუსიკო საზ-ბა სახალხო სახლში გარნიზონისათვის მართავს კონცერტს (უფასოდ) თავის კაპელას და ქართ. საოპერო სტუდიის მონაწილეობით 3 წლის თავისუფლების აღსანიშნავად, დღეს 12 მარტს.

ახალი ჟურნალი

სახელოვნო ცენტრის უკანასკნელ სხდომამ დაადგინა ახლო მომავალში გამოიცეს თვიური ჟურნალი, სადაც გაერთიანებულ იქნება ქართული ხელოვნების ყველა დარგი. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო ხელოვანნი: მწერლები, პოეტები, მხატვრები მუსიკოსები, მსახიობნი და სხვანი. ჟურნალი იქნება მდიდრად დასურათხატებული საუკეთესო ქაღალდზე და ეღირება ხუთი თუმანი. ჟურნალის გამოცემა განზრახულია მომავალ კვირიდან.

ძარცვა-გლეჯა საქართველოს სამხედრო გზაზე

9 მარტს დილით ფასანაურის სამხედრო გზის დისტანციის უფროსი ა. ჩხეიძე ავტომობილით გამოემგზავრა თბილისში დისტანციის ორი მოსამსახურის თანხლებით თან მოქონდა 1. 200,000 მანეთი მუშების გასასტუმრებლად. მე 12-ე ვერსზე ავტომობილი ავაზაკებმა შეაჩერეს, ავტომობილი გააბრუნეს გზაზე ლეფში და გაძარცვეს. დღის 3 საათზე ეს ამბავი [illegible] აცნობეს თბილისის სამაზრო მილიციის უფროს გ. ახვლედიანს რომელიც გაემგზავრა მძარცველთა აღმოსაჩენად.

სამუსლიმანო საქართველოში

ბათომიდან გვატყობინებენ: ბათომის ოლქი აივსო ბნელი ძალებით და საეჭვო პირებით. ასეთმა ხალხმა ამას წინად ხმა გაავრცელა, რომ საქართველოს და ინგლისის შორის ომი იწყებაო.

ბოლშევიკები, თურქები, დენიკინელები და ბაქოს აგენტები შეხმატკბილებულად მუშაობენ ახალ ავანტიურების ნიადაგის მოსამზადებლად. მოსალოდნელია დიდი გართულება და ხიფათი. ინგლისელები ყველა მოღალატეს გულცივად უცქერიან და ხშირად ეს მოღალატენი ინგლისურ მფარველობად ევლინებიან ხალხს.

მიწის ძვრა მექსიკაში

„Times“ იუწყება, რომ მექსიკაში დიდი მიწის ძვრა მოხდა. მსხვერპლთა რაოდენობა 4.000 კაცს აღწევს.

დაახლოვებით განადგურებულია 12 ქალაქი და სოფელი. მიწის ძვრამ რომელიც იყო ვულკანიური, ფერმერებს მოასწრო სამინდვრის სამუშაოზე, სადაც ათასობით ადამიანები და საქონელი დაიღუპა.

მიწის ძვრამ საგრძნობლად შესცვალა ადგილობრივი ტოპოგრაფია. მთელი გორაკები გაქრა; გაჩნდა ახალი ამაღლებული ადგილები; გაჰქრნენ მრავალი სოფლები. მცხოვრებთა საშინელება ყოვლად აუწერელია.

გორში

გორის მიწის ძვრის ხასიათი.

რადგანაც, საზოგადოების ფართო წრეებში ცხოველ ინტერეს იწვევს გორის მიწის ძვრის მიზეზები და აგრეთვე, თუ რა ხასიათის იყო იგი, რედაქციამ მიმართა გეოლოგიურ-ტეხნიკურ კომისიის თავმჯდომარეს ინჟ. ი. ყიფშიძეს, რომელიც საგანგებო კომიტეტის დავალებით იკვლევს ხსენებულ საკითხს, გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი ფართო საზოგადოებისათვის, რაც პატივცემულმა ინჟინერმა სიამოვნებით შეასრულა ქვემოდ მოყვანილ წერილში:

გორის მიდამო არა სცხრება; მიწის ძვრა თუმცა ნელდება, მაგრამ [illegible] და მცხოვრებნიც დიდს ღელვას განიცდიან.

მაზრაში გლეხები ხან მღვდელს შემოსავენ და ალოცებენ, ხან უმწეოდ ბღავიან და შველას გვთხოვენ, შველას მატერიალურსაც, მაგრამ უფრო კი მორალურს. ზოგიერთ დაზარალებულ სოფელში ჯერ კაცს არ გაუვლია, რომ რაიმე გამამხნევებელი, იმედის მიმცემი სიტყვა ეთქვას. ტეხნიკური ძალა, რასაკვირველია არა ჰყოფნის გორიზედ მოშორებულ სოფლებში გასაგზავნათ, და ჩვენი ინტელიგენციაც მივა გორში, ავა ციხეზედ და საღამოს მატარებლით ჩამოვა თბილისს; მატარებლის მოლოდინში კიდევ ისეთი სიმღერები გაისმის სადგურზედ, რომ კაცს ეგონება საზეიმოთ მოსულა ეს აურებელი ხალხიო.

საზეიმო კი ჭეშმარიტად არაფერია.

სხვისა ჭირიო—ღობეს ჩხირიო—ამაზედაა ნათქვამი; ასეთს საზარელს, საშინელს სურათს წარმოადგენს დღეს დაზარალებული სოფლები, რომ კაცი იკარგება და არ იცის რა უთხრას მცხოვრებთ, რომელნიც გარს შემოეხვევიან ყოველ მისულს რომ გაიგონოს მისგან ხმა ნუგეშისა. მოჰყვებიან გულშემზარავ ამბებს; აი ამ სახლში ხუთი სული დაიხოცა; „მამა, დედა და 3 შვილი, მთელი ოჯახიო“; აი აქ, ჩემი სახლი იყო, იქნება არც კი დამგრეულიყო, მაგრამ მეზობლის დიდი კედელი გადმოწვა და ჩემი სახლიც თან დაიყოლია, ოთხი სული დავმარხეთ, ორი ძმისწული სტუმრად მოსული და ორიც შვილიო“.—ასეთი ნაამბობი ზღაპარი არ არის, სინამდვილეა.

მაგრამ ყველაზედ უარესი მათთვის ჯერჯერობით მაინც ის არის, რომ ვიღაც მოცლილი გაავრცელებს ხმას: ამაღამ ამა და ამ დროს, საშინელი დიდი მიწის ძვრა უნდა მოხდეს და მთელი გორი და მისი მიდამო დაიღუპებაო; ან, აქა და აქ მიწა გასკდება და სოფელი უფსკრულში ჩავაო.

მთავრობის და საერთოთ, ჩვენი ინტელიგენციის საქმეა ასეთი ამღელვებელი ხმები და სასენსაციოთ აღტყინებული გრძნობები გაჰფანტოს, ხმა მაღლა უთხრას ხალხს, რომ არავითარი ასეთი უბედურება არ არის მოსალოდ-

ნილი, არავითარი უფსკრულები, ან ვულკანის ამოხეთქვა არ მოხდება და არც იმაზედ მეტი რამ განმეორდება, რაც უკვე მოხდა. მიწის ძვრა უნდა დასცხრეს, განელდეს; შესაძლებელია ჯერ კიდევ ერთ ხანს, მთელი თვეც გაგრძელდეს მიწის რყევა, მაგრამ იგი თანდათან შემცირდება და შემდეგ გაქრება. შესაძლოა ზოგჯერ ცოტა მეტის ძალით შეირყეს, ვიდრე წინა დღეებში, როგორც ეს იყო შემჩნეული გორში 7 და 8 მარტს, მაგრამ ესეც მოსალოდნელია და საერთო კანონს მიწის ძვრისას არ არღვევს. მაინც მიწის ძვრა უნდა განელდეს და ნელნელა დასცხრება.

გეოლოგიურ—ტეხნიკური კომისია, რომელიც ამჟამად იკვლევს მიზეზებს და შედეგებს ამ მიწის ძვრისას, სცდილობს ყოველ მხრივ ასეთი ხმები უარჰყოს და მცხოვრებნი დაამშვიდოს; მხოლოდ სანამ მას მუშაობა არ დაუთავებია შეუძლებლად სცნობს ოფიციალურად და წერილობით ავრცელოს თავისი ნაშრომის ნაწილები.

ამ დღეებში გეოლოგიურ—ტეხნიკურ კომისიის მიწვევით გორი და მისი მიდამო დაათვალიერა იტალიელმა სტუმარმა პროფესორმა ვიტორიო ნოვარეზემ; იგი გეოლოგიის პროფესორია რომში, და დირექტორი იტალიის გეოლოგიურ კომიტეტისა. ჩვენში იგი მოსულია დროებით, იტალიის ეკონომიურ მისიასთან ერთად. პროფესორ ნო-ვარეზეს აქვს გამოკვლევები თავის სამშობლოს უდიდესი მიწის ძვრების შესახებ და ამიტომ [illegible] საკითხიც კარგად აქვს შესწავლილი და ჩვენი ხალხის უბედურებაც საკმაოდ აქვს გათვალისწინებული.

ჩვენ მოწვევაზედ მან გვიპასუხა, რომ კარგად ესმის თქვენი უბედურება, რადგან მისმა სამშობლომაც იგი მრავალჯერ განიცადაო და ამიტომ სიხარულით შეუდგა მუშაობას.

კვირას, 7 მარტს გორის მიწის ძვრის დამახასიათებელი მოვლენების დათვალიერების შემდეგ, მივიწვიეს მაზრის ერობის ყრილობაზედ, სადაც სთხოვეს პროფესორ ნო-ვარეზეს, განემარტა მათთვის ეს თავს დატეხილი მოვლენა. მრავალი კითხვები იყო მიცემული დამსწრეთაგან და პროფესორი ხალისით უპასუხებდა მათ თარჯიმნის საშუალებით.

ინჟ. ი. ყიფშიძე.

(დასასრული ხვალ)

განაწამებ ქართლში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გორისაკენ.

აი ხელმეორედ ვბრუნდები ქართლის ნატერფალზე აი მთის მწვერვალიდან დავყურებ ისევ გაწამებულ ქართლს, აი ლოდებ აყირავებული სოფლის სასაფლაოც, სადაც ვასამარებთ ნანგრევებ შუა ცოცხლად ჩამარხულ მსხვერპლთ სტიქიის ქარიშხლისას.

აი უბირ მედავითნის მიერ სამოციქულოდან წაკითხული სიტყვებიც „სადაა სიკვდილო საწერტილი შენი, სადა ჯოჯოხეთო ძლევა შენი“?!... და ჯოჯოხეთად გსახავ, მართლაც, ჩემს გარემო მზირალ ქართლის საშინელებას“ მის საშინელ ტრაღედიას ბედის უკუღმართობის ვერაგ სურათებს...

საქმიანი მუშაობა

ჩემს ირგვლივ საქმიანი მუშაობა დაწყებულ იყო დიდი და პატარა შეგნებულად თავის ოფლს ცოდნას და ჯიბეს არ იშურებდა მისატანად მამულის კეთილ დღეობის საკურთხეველზე.

ზარალის აწუსხვა

უპირველეს ყოვლისა უკვე დასახლებით მოავარებულია ნუსხა დაზარალებულ სოფლებისა. მთელი დაზარალებული ქართლი სარეგისტრაციოდ დაყოფილია 5 რაიონად: გორისა ქართლისა, ხიდისთავისა, კარალეთისა და ხოვლევისა მეექვსე, რაიონად ითვლება თვით ქ. გორი.

გორის რაიონი

ამ რაიონში შედის სოფლები: ბერბუკი, სვენეთი, ტინის ხიდი, გორიჯვარი. ამ სოფლის რეგისტრაციას განაგებს ექიმი ელიოზიშვილი. ყველა ამ სოფლებში 23 თებერვლიდან 1 მარტამდი დასახიჩრებულა 50 სული. თერაპევტიული 39 სულით ავათმყოფი 1 შეშინებული 3 საქონელი დაღუპულა 51 სული. ამ სოფლებში ყველაზე ძლიერ დაზარალებულა ს. ტინის ხიდი რომელთაც აკლიათ პური.

ქართლის რაიონი

ამ რაიონში შედის სოფლები ქარელი, ზემო ხვედურეთი, ქვემო ხვედურეთი, რუისი, ურბნისი, ბებნისი, დოესი, ქვემო ფლავი. რეგისტრაციას აწარმოებს ექიმი ციციშვილი. 20 თებერვლიდან 1 მარტამდე დასახიჩრებულა ყველა ამ სოფლებში 27, თერაპევტიული—14, ნერვებ აშლილი—9. მოკლულია 4 ადამიანი, საქონელი 6 სული. ამ სოფლების მცხოვრებთ პური არ ესაჭიროებათ.

ხიდისთავის რაიონი

ამ რაიონში შედის სოფლები: ხიდისთავი, ქვახვრელი, ყელის ციხე, ატენი, ოხერა. რეგისტრაციას აწარმოებს ექიმი მახვილაძე. ყველა ამ სოფლებში 20 თებერვლიდან 1 მარტამდე დაშავებულა 35 კაცი. თერაპევტიული 30, ნერვებ აშლილი 3. ყველაზე ძლიერ დაზარალებულა ს. ხიდისთავის, სადაც მოკლულია 58 სული. ეს რაიონიც არ განიცდის უპურობას და სიმშილს.

კარალეთის რაიონი

ამ რაიონში შედის სოფლები: კარალეთი, თორტიზა, პატარა გარეჯვარი, ხელთუბანი, რეხა, თედოწმინდა, ვარიანი. რეგისტრაციას აწარმოებს ექიმი ლომაური. ეს რაიონიც არ განიცდის უპურობას. მცხოვრებნი შესდგომიან ხის შენობების აგებას. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, მხოლოდ ს. თედოწმინდაში დაეხოცია 50 სული ცხვარი, ოთარშენში 30. თებერვლის 20 დან 1 მარტამდე გასინჯულია ამ სოფლებიდან დაშავებული 43 ადამიანი. თერაპევტიული 72, მუცელ მოწყვეტილი 18, ნერვებ აშლილი 9.

ხოვლეს რაიონი

ამ რაიონში შედის სოფლები: ხოვლე, დოესი, გრაკალი, ყარაჯაჯი, სასირეთი და მეტეხი. რეგისტრაციას აწარმოებს ექიმი ხუციშვილი. ყველა ამ სოფლებში 20 თებერვლიდან 1 მარტამდე დაშავებულთა რიცხვი უდრიდა 50 სულს. თერაპევტიული 16. სულით ავათმყოფი 3. მოკლულია ს. ხოვლეში 3, ზემოხანდაკში 4, დოესში 5. პურს აქაც არ საჭიროებენ.

ქ. გორში

20 თებერვლიდან 1 მარტამდე ამბულატორიაში რომელსაც განაგებს ექიმი გვერწითელი გასინჯულია დაშავებული 47 თერაპევტიული 100 კაცი. მოკლულია 13.

საევაკუაციო პუნქტი

გორის სადგურზე მოწყობილია საევაკუაციო პუნქტი რომელსაც განაგებს ექიმი მ. მირზაშვილი. ამ პუნქტიდან 20 თებერვლიდან 1 მარტამდე თბილისის საავადმყოფოებში მოთავსებულია 205 სული.

დ. პაპლიაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

კორესპონდენცია

საინგილო.

მე გწერთ იმ კუთხიდან, რომლის შესახებ მართლაც რომ შეიძლება ითქვას: ღვთისა და ხალხისაგან მივიწყებული ქვეყანა.

საინგილო, ზაქათლის ოლქი, ძველი ჰერეთი! განა ბევრია დღეს ისეთი ქართველი, რომელსაც გული აუძგერდება ამ სახელების გაგონებაზე?! ბევრმა კი იცის საით მდებარეობს ეს ყველაზე უმდიდრესი პროვინცია ძველი საქართველოისა, ან ვისი გამგებლობაა გამეფებული დღეს ამ მხარეში?

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებში მოხდა, სხვათა შორის, ერთი გაუგებარი მოვლენა: საქართველოს პირველმა მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკის უდავო ტერიტორიად გამოაცხადა უპირველესად ყოვლისა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები რუსეთის მთავრობის მიერ ამოხაზული, უკანასკნელ დროის საადმინისტრაციო გადამიჯვნის მიხედვით. ეს დეკლარაციული განცხადება ქაღალდზე დაწერილად გამოდგა რადგანაც მთავრობის მიერ არ ყოფილა სათანადო ზომები მიღებული გამოცხადებულ ტერიტორიის გამაგრებისა და დაცვისათვის.

საქართველოში გაბატონებულ პოლიტიკურ წრეებში იმ დროს მეტის მეტად სჭარბობდა ინტერნაციონალურ ბოლშევიკური სულის კვეთება! იმ დროს რევოლუციის გაღრმავებასა და სოციალურ ბრძოლის გაჩაღებაზე უფრო ზრუნავდნენ თბილისის პოლიტიკოსები, ვიდრე ბედისაგან ნაბოძებ მიწა-წყლის შენახვაზე, ხალხის მოვლაზე, სიმდიდრის და ნაციონალურ სამკვიდრებლის დაცვაზე. მაშინ ქართველი სოციალ დემოკრატები იმპერიალისტად ჰნათლავდნენ, ვინც კი ხმას ამოიღებდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე, თუნდაც რომ უკ ნასკნელ პერიოდის მიხედვით.

„სათნოებისა“ და „ძმობა-ერთობის“ ქადაგებაში საქართველოს მთავრობამ ვერც კი შეამჩნია, როგორ ილეოდა საქართველოს ტერიტორია, როგორის სისწრაფით ებჯინებოდა დიდი ქალაქს სახელმწიფო საზღვრის ხაზი.

კერძოდ ზაქათლის ოლქი საქართველოს მთავრობას სრულებით გამოეპარა მხედველობიდან. ოლქში-კი ამ ხანებში საყურადღებო ამბები ხდებოდა. იქ იმყოფებოდა რამოდენიმე ასეული საგან შემდგარი ოსმალეთის ჯარი. მაშინ ანტანტას გამარჯვებაზე ჯერ ლაპარაკიც არ იყო და ალერ აშვებული ბრწყინვალე პორტა „სამუსლიმანო“ ქვეყნებში პანისლამიზმს ჰნერგავდა ამ ქვეყნების გასაერთიანებლად... ოსმალეთის დიდი მფარველობის ქვეშ.

საქართველომ არ ინება საინგილოში შემოსვლა. აქ კი ყველა განურჩევლად ეროვნებისა, მოელოდა ქართველ ჯარებს, რომ მათი შემწეობით გაემაგრებინათ ოლქის საზღვრები ნუხის მაზრასთან „ყანნი-ყუზის“ („სისხლის ღელეს“) ხაზზე, იმ „სისხლის ღელეზე“ სადაც საქართველოს მხედრობა არაერთხელ [illegible] მტრად მოსულ ყიზილბაშ-თურქებს შუა კახეთის დასაცავად.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მეორე, თუ მესამე დღეზე აზერბაიჯანმაც დამოუკიდებლად სცნო თავისი თავი, ხოლო ზაქათლის ოლქში შემოსვლას ვერ ჰბედავდა სხვა და სხვა მოსაზრებით, უმეტესად კი იმიტომ, რომ კარგად იცოდა ზაქათლის ოლქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობის-ლეკების—განწყობილება აზერბაიჯანელ თურქებთან.

მინდობილ მხარეში პირველად საკმაოდ იჩინა თავი სეპარატისტულ მიმართულებამ: ოლქის ლეკობა მოწადინებული იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეექმნა მსგავსად უწინდელ ჭარბელაქან-ილისუსი, მაგრამ დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში და ეკონომიურ ურთიერთობაში ოლქის პოლიტიკურად მოწყვეტა ვერ სცნეს შესაფერად და შეუდგნენ „მფარველის“ ძებნას. ძლიერ საინტერესოა იცოდეს საქართველოს მთავრობამ თუ, რამ აიძულა ლეკობა აზერბაიჯანს მიჰკედლებოდა: აქა იქ ლეკების სოფლის ყრილობებზე ოლქის სვე-ბედზე მსჯელობის დროს ა, რას ამბობდნენ წარჩინებული ლეკები, რომელთა გავლენა მთელს ოლქში უცილოა: საქართველომ არ მოისურვა ჩვენი ქვეყნის მიერთება და დაგვტოვა უპატრონოდ, ჩვენ იძულებული ვართ მოვიწვიოთ აზერბაიჯანის ადმინისტრაცია განსაზღვრული პირობებით და უფლებით ოლქში წესიერების დასამყარებლად თანაც გულდაკოდილი დასძენდნენ: ვიცით კი რომ უთბილისოდ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლიან. იქნებ, საქართველოს მთავრობამ არც ის გარემოება უწყის, რომ ზაქათლის ოლქი შეუერთდა აზერბაიჯანს კონკრეტულ ხელშეკრულებით, რომელიც იმ ჟამს ბაქოში გაატანეს სპეციალურ დელეგაციას ასლან-ბეგ ყარდაშევის მეთაურობით? განსაზღვრულ ვადის განმავლობაში აზერბაიჯანი მოვალე იყო ასრულებინა ხელ-შეკრულებაში აღნიშნული ყველა მოთხოვნილებანი ზაქათლის ოლქის გარანტიების შესახებ, მაგრამ დღემდე აზერბაიჯანის მხრივ არც ერთ პუნქტი არ არის დაკმაყოფილებული, რაც ოლქში დიდს [illegible] და მღელვარებას იწვევს...

ბაქოს მთავრობამ სხვა გვარ ხერხს მიმართა: ზაქათლის ოლქში თანდათანობით გააძლიერა აზერბაიჯანის ერთგული ელემენტი ისეთი გაბედული და სასტიკი ადმინისტრატორის მეთაურობით, როგორიც არის ამას წინად დათხოვნილი „ზაქათლის გუბერნიის“ (?) გუბერნატორი ძველი პოლიციის მოხელე შახმალიევი; ეს ის შახმალიევი, რომელიც ერთ დროს გამჟღავნებულ იქმნა ნუხის მაზრის უფროსის თანამდებობიდან ყაჩაღების მფარველობისათვის.

შახმალიევი მხნედ შეუდგა ზაქათლის ოლქის, ასე ვთქვათ, აზერბაიჯანიზაციას; მან მოაწყო მრისხანე ადმინისტრატიული აპარატი, რომელსაც „შიშსა და კრძალვაში“ ჰყავდა მოულოდნელობისაგან თავზარ-დაცემული მცხოვრებნი. შახმალიევის უმთავრეს „მისსიას“ შეადგენდა ზაქათლის ოლქი პოლიტიკურად და ეკონომიურად გადაება აზერბაიჯანთან: პირველი მან „დეკორატიულად“ მოაწყო, ხოლო ეკონომიური კავშირი ოლქსა და აზერბაიჯანს შორის ნუხის ევლახის ტრაქტით მაინც ვერ შესძლო. მიუხედავათ მრავალი აკრძალვისა, ლეკობა და ქართველობა მრისხანე ზომებმა ვერ გადააჩვია ძველის ჩვეულის გზით სვლას და თბილისი ეხლაც [illegible] ცენტრია ზაქათლის ოლქის ალებ მიცემობისა. ალაზანზე [illegible] რამდენიმე ადგილას ოლქის მცხოვრებლებს გაუმართავთ ზოგან „ბორანი“, ზოგან კიდევ პრიმიტიული ნავები და ამ სახით გადმოაქვთ საქართველოში გასასაღებლად ზაქათლის ოლქის დოვლათი: ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ფეტვი, სხვადასხვა ჯურის ხილეულობა, წაბლი, კაკალი, თხილი ბოსტანი...

ცხადი უნდა იყოს თქვენთვის, რომ ხსენებულ საშუალებით საინგილოდან ვერ შემოდის თქვენსკენ მეათასე ნაწილი იმისა, რისი მოწვდაც შეგვეძლო ნორმალურ დროს და უნდა გითხრათ აშკარად, რომ თქვენი სასურსათო კრიზისი საგრძნობლად შემცირებული იქნებოდა, თუ რომ ზაქათლის ოლქს შეეძლება მისცემოდა თვისი სიუხვიდან თქვენთვისაც გამოეყო მცირედი.

გასულ ზაფხულს ზაქათლის ოლქში საზიზღარი ამბავი დატრიალდა. ოლქში შაქარი მთლად გამოილია, ჩაის სმას მიჩვეული მცხოვრებნი საგონებელში ჩავარდნენ. თვისი წარმომადგენლების პირით მათ იშუამდგომლეს ინგილო-მოსახლეობის რწმუნებულის წინაშე საქართველოს მთავრობასთან ბ-ნ ი-სთან ზაქათლის ოლქის მცხოვრებლებისათვის 1000 ფუთის შაქრის გადადებაზე, რაც მათმა რწმუნებულმა მოახერხა სამხედრო უწყებაში შაქრის ხორბალზე გადაცვლით ლგოტის პირობებში. ეს ამბავი აგენტებმა ამცნეს შახმალიევს და ყოვლად შემძლე „გუბერნატორიც“ ამოქმედდა ამ „კრამოლის“ წინააღმდეგ და იმდენი იმრუდა, რომ [illegible] დაწყებული საქმე.

ერთ ხანად ამ საქართველოს მოძულემ მთლად შეჰკრა საქართველოს „საზღვარი“ მაზიმ-ჩაისთან და უნდოდა აეძულებინა ლეკები ნუხ-ევლახით ემგზავრათ ბაქოსკენ, მაგრამ... განა შეერთდება შეუერთებელი!?

ესეც შახმალიევი პროვოკატორულად ამხედრებდა ს. ყუბახჩელებს საძოვარ და სახნავ მიწების გასაფართოებლად საქართველოს ხარჯზე. ამ ინციდენტმა გამოიწვია ეგრეთ წოდებულ შერეულ კომისიის დაარსება ინცინდენტის სალიკვიდაციოთ, მაგრამ კომისიის მუშაობამ ნაყოფი ვერ მოგვეცა. დამახასიათებელია, რომ აზერბაიჯანის მხრით კომისიას ჰმეთაურობდა თვით შახმალიევი, ინციდენტების და უკმაყოფილების მთავარი ინსპირატორი.

ოლქში უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა, შახმალიევს „სისტემამ“ ზაქათლის ოლქის ინერტულ მასსასაც გამბედაობა მისცა და „ყიზილბაში-სატრაპი“ გაწვეულ იქნა ბაქოში.

ბაქოს მთავრობამ „კურსის“ შეცვლა მოიწადინა ზაქათლის ოლქში. აქ დააწესეს უკვე საგენერალ-გუბერნატორო, ხოლო უფროსად გამოგვიგზავნა ვარელი ინჟინერი... ბოლშევიკი. იქნებ, ხუმრობა გგონიათ? ბაქოს მუსსავატელები და ბოლშევიკი მათი მოხელე და ისიც მთიელი? თქვენ ინებეთ და საოხუნჯოთ მიიღეთ ჩემი ცნობა, მე კი მაინც შეგატყობინებთ, რომ ზაქათლის ოლქი დღეს ფაქტიურად „ბოლშევიკების“ ხელშია. აქ თავისუფლად ჰქადაგებენ პროპაგანდისტები, ჩვენში შემოაქვთ ისეთი ბოლშევიკური ფურცლები და ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც თქვენ თბილისელებს არც კი გინახავთ. გენერალ-გუბერნატორის კურთხევით აქ ვიღაც უცნობნი დაწრწიან სოფელ-სოფელ და „პრიგოვორებს“ აწერინებენ ყველას, სრულიად ბნელ ხალხს... ბოლშევიკები ვართო!!

მე არ ვიცი, რას ფიქრობთ, თქვენ თბილისში ამ ამბებზე, ან მოგდით, თუ არა მაინც რაიმე ცნობა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ ის კი უნდა იცოდეთ მაინც, რომ ადამიანური გრძნობა უნდა გავალებდეთ, რომ ერთხელაც არის ხმა ამოიღოთ ზაქათლის ოლქის „ექსპერიმენტატორების“ საწინააღმდეგოთ! კეთილინებეთ, იშუამდგომლეთ მოკავშირეთა მისიების წინაშე მაინც, რომ გამოიგზავნოს ჩვენს კუთხეში საკონტროლო კომისიის მსგავსი რამ, რომ დარწმუნდეთ ზემოთქმულის სინამდვილეში.

ჩვენ სასოწარკვეთილებას განვიცდით, თვალი დაგვეწყდა მათი ცქერით, უიმედობამ გონება აგვირია, ფსიქიურად დაგვცა. გაგვაგებინეთ, უარი სთქვით საბოლოოდ ზაქათლის ოლქზე? მაგრამ ერთი-ღა აგვხსნათ ის გარემოება, რომ თქვენმა მთავრობამ აზერბაიჯანისას გადაჭრილად უარი შეუთვალა ზაქათლის ოლქის შესახებ დოკუმენტებისა და საარქივო მასალის გადაცემაზე? ჩვენ სხვა ცნობებიც მოგვეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს მთავრობა არ სცნობს დღევანდელ ოლქის ვითარებას მისთვის პოლიტიკურად და იურიდიულად მისაღებად. მაშ, რაშია საქმე? ესოდენი ხნის განმავლობაში განა შესაძლებელია ორჭოფ მდგომარეობაში ყოფნა? მშვიდობიანობისადმი უზომო თავგანწირვა ასე გამოქმედდებით? მაგრამ ამ კითხვას საბოლოოდ მაინც ხომ ვერ ასცდებით? ნუ თუ ვერა ჰგრძნობთ, რომ მეგობარი გმეგობრობთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის მისთვის ხელსაყრელია?! შარშანდელი მესხეთის ამბები, ან ეხლანდელი ბათუმ-აჭარის „გაბლართული კვანძი“ მაინც უნდა აგვკარნახებდეთ, რომ საბოლოოთ გამოითხოვოთ ოცნების პოლიტიკას! დამერწმუნეთ, რომ დამოლოს მტერნი და მოყვარენი აგერევათ ერთმანეთში!

ამას წინად შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში ერთი ქართული გაზეთი, სადაც ცნობილი პუბლიცისტი ცდილობდა გაერკვია, თუ რომელ მხრიდან უფრო მეტი საფრთხე უნდა მოელოდეს საქართველო და პასუხს იძლეოდა: ვისთანაც მეტი ტერიტორიული დავა მოგვეხდებაო. თქვენთვის მოგვინდვია საქართველოს მიწა-წყლის ალნუსხვა...

ბედშავ ყოფაშია შეწუხებული ხალხი ზაქათლის ოლქისა, მაგრამ ინგილოების გაჭირვებული მდგომარეობა ხომ ვერ აიწერება. რევოლუციის „სიტკბოება“ ინგილოებმა მხოლოდ იმით იგემნეს, რომ მაჰმადიან ფანატიკოსებს მიერ წინადაცვეთილ იქმნენ და პარასკეობით ძონძებით ირეკებიან მეჩეთებში მათთვის უცნობ ღმერთის სავედრებლად. საინგილოს სულიერ საბჭოს თავმჯდომარე დეკ. ფურცელაძე ბევრს ცდილობდა მიეხვედრებინა ზაქათლის ოლქის გამგებელნი, რომ თავისუფლების ხანაში შეუწყნარებელია ასე უდიერად დათრგუნვა ხალხის რწმენისა და სარწმუნოებისა, მაგრამ პანისლამიზმით და პანთურქიზმით გატაცებულნი განა ყურად იღებდნენ ქრისტიანი მღვდლის საბუთებს!? აქაურ ქართველებს ძალას ატანენ სპეციალურ თურქულ სკოლებში მიაბარონ ბავშვები; ზოგიერთ სოფლებიდან მოსანათლი ბავშვები [illegible] სოფლებში გადაჰყავთ [illegible] მისაღებად. ინგილოები ისე არიან დაშინებულნი, რომ არც კი აცხადებენ ძალით გამაჰმადიანებას იმ იმედით, რომ გამოსწორდება დუნია და ყველაფერი ჩადგება თავის კალაპოტში.

გარდამავალ ვითარებაში ყოფნამ სულით და ჯანით მოგვხარა. თუ გამკითხველი არსადა სჩანს, დროზე მაინც შემოგვითვალეთ, რომ მწარე ბედს დავმორჩილდეთ.

საქართველოს მთავრობას შემთხვევა ჰქონია ზოგიერთ კუთხის ერთ მტკაველ მიწის თაობაზე მკაცრი წინააღმდეგობა გაეწია მოქიშპეთათვის; ნუ თუ ზაქათლის ოლქი იმად არა ჰღირს, რომ მის შესახებ მცირეოდენი ან მელანი დაიხარჯოს, ან სიტყვა ითქვას?

კამბელი.

III. ბიბლიოგრაფიული ეტიუდები

(„რუს.-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი“)

დამატება და შეცდომათა შესწორება*).

(დასასრული)

4. მეორე წერილში (საქართვ., № 52), ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, გამოტოვებული იყო შემდეგი მაგალითები, რომელთაც მოვიყვანთ შემოკლებით.

„Вольтова дуга“-ს გარდა (იხ. წერ. 2, გვ. 4, სვეტი 2) უკანონოდ არიან თარგმნილნი ტერმინები: Вольтаметръ ნივთელზომი, гальванизація — ნივთელყესება, гальванометръ, — скопъ (დენზომი, დენჩენი) და სხ. ამისთანები, რადგანაც მათში შედიან მეცნიერთა გვარები (ტალ.): ვოლტა, ჰალვანი და, მაშასადამე, კანონიერება მოითხოვს მათს უთარგმნელობას: ვოლტამეტრი, ჰალვანიზმი და სხ. (Ваттъ — ვატი — სწორია (გვ. 119).

Мозаика, გარდა „სართი“-სა, იქნება „მოჭიკვა“; Ваяніе, изваяніе (გამოტოვებულია ლექს-ში) კი—ქანდაკი (აგრეთვე ქანდაკება,—კი), რაც უდრის ლათ. „სკულპტურა“-სა („Скульптура“ გამოტოვებულია ლექსიკონში)

სწორედ არის აღნიშნული, ჩვ. აზრით, იგივეობა Архитектура და Зодчество—სი (ხუროთ-მოძღვრება).

Бинокль—წოდებულია „შორსათვალე“-დ, „Зрит. труба“ და „телескопъ“—„ჭოგრად“, полз. труба—დურბინდად. ჩვენის აზრით, სასურველია ამითი სახელწოდებები [illegible] უკვე შეთვისებული ქართ. ენის მიერ, სპარს.—თათრული „დურბინდი“, ხოლო დანარჩენებისათვის, ძვ.-ქართული ჭოგრთან (ჭოგრი) ერთად, მერძნ. ტელესკოპი.

ტელესკოპი—ჭოგრია, ლექსიკონის სამართლიანის აღნიშვნით, მაგრამ იმავე „ლექსიკონს“ რომ ბოლომდე დაეცვა თავისი აზრი, телескопъ—„შორსმაჩენი“ უნდა ყოფილიყო, რადგანაც микроскопъ—წვრილმაჩენია, стереомикроскопъ — მყარ-წვრილმაჩენი, стереоскопъ — მყარ-მაჩენი და სხ. Гороскопъ — არ არის აღნიშნული ლექსიკონში, ხოლო „спектоскопъ“, იმავე წინააღმდეგობის მიზეზით და შეუთანხმებლად მოლოდინთან, წოდებულია „შუქმკვლევად“ და არა „შუქმაჩენად“.

„Горизонтъ“, გარდა „თარზისა“ უნდა იყოს „ცისკიდე“ (თვალთაი“, X ს. ხელნაწ., მ. ჯანაშვილის გამ. გვ. 71).

„Гудокъ“-ს, ჩვეულო „სადრიალოს“ მაგიერ და მისაღებ „საყვირო“-ს გარდა, შეიძლება ეწოდოს ბუკი.

„Замокъ“ (За̀мокъ—„კოშკი“ არ არის აღნიშნული)—თარგმნილია „კლიტე“-დ (აგრეთვე „Затворъ“-ი) უნდა იყოს კი ორივესთვის—„ბოქლომი“.

„კლიტე“ კი უდრის ключъ-სა (აგრეთვე, სწორედ აღნიშნული „გასაღები“.).

შენიშვნა. „კლიტე“ წარმოშობით ბერძნულია, KLEIS და უდრის იმასვე. ეს სიტყვა მოჰყავდა „ჰაერი“, „ნავი“ და სხ. სიტყვებთან ერთად, სხ. შორის, ლეიბნიცს, 1795 წელს, ქართული ენის ევროპის ენებთან ნათესაობის დასამტკიცებლად.

„Ноль“ იქნება—ნული (Nullus) და არა ნური, სადაც „რ“ უკანონოა წარმოშობით, ამ შემთხვევაში.

Обложка—„ყდა“ და არა უჩვეულო, ყურის მომჭრელი, „სარტყამი“.

Об лочка, გარდა „გარსისა“ იქნება „აპკი“ (ნიმეს. ემესელი, ბ. ს. გორგაძის რედაქციით, 59_{11}, 122_{2}).

Приложеніе—ს უდრის „დანართი“, „დამატება“, „მიდება“ კი უარსაყოფია და ზედმეტიც

„Ракета“—შუშხუნა, სწორედაა აღნიშნული.

Факелъ (გამოტოვებულია) კი უნდა იყოს—„მაშხალა“ (არაბ. წარმოშობისა): „მწიგნობართ უხუცესს ორი მაშხალა წაუძღვებოდა წინ, ათაბაგს... ერთი მაშხალა და სხ., იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლის ისტორია“, I, 182 გვ., 1919 წლის გამოცემა.

ჩვენი აზრი საკითხისათვის მოკლედ უკვე გავაცანით მკითხველს, აგრეთვე დედა-აზრი (იხ. წინა წერილი). ეხლა კი სხვებმაც გაუზიარონ თვისი შეხედულება შემდგენილთა, რომელთა მოლოდინი „გამოხმაურებისა“—სრულად საფუძვლიანია.

წინა წერილებში შეპარებულ შეცდომებს და [illegible] ვათავსებთ [illegible] შესწორებულად: წერ. 1: Durchmesser, словникъ (გვ. 4, სვეტი 2) და კიტაბ.—ხანე; წერ. 2: das Quecksilber, ცნ. ფ. № № 2772-3, სილიმი—არაბულია, გ. der Stempel, ფრ. Analyse, ინგ. Analysis, შილდრევენი—სპარსულია, დაბრეცილებულ და სერბიულ ენაში—„ღჯებ“—ჯიბა, —ე; წერ. 3: Azotique, გამოწვლილვასა, (გამოტოვებულია): „ბ—ნები“ (გვ. 4, სვეტი 2, შენ.), სამურზაყ. გამოთქმით: ჩანტამანტი, გაზალაშინებას და „პერსპექტივებით“.

კვლავ სიამოვნებით აღვნიშნავთ ქართული ენის ცოდნასა და ღრმა დაკვირვებას ძველ მწერლობაში შემდგენთა მხრივ.

ზ. ხერაძე.

---

*) იხ. „საქართველო“ №№ 50, 52 და 53, 1920.

რედაქტორი „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

დავკარგე
პირადობის მოწმობა,
აღებულია აბასტუმანში, მპოვნელსა ვსთხოვ მიიტანოს ასეთი აბაშაში [illegible] გუგუშვილთან, ან თბილისში მე-VII უბნის კომისარიატში აპოლონ გუგუშვილთან, რისთვისაც მპოვნელი მიიღებს ჯილდოდ 500 მანეთს.

ვეძებ
2—3 ოთახს
I, II, III ან IV უბანში
ფასს არ დავიშურებ
მაცნობეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში გრ. მაჭავარიანს.

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.